ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 205

« 27 » ივნისი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №393 განკარგულებით დამტკიცებული ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის III ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 9 თებერვლის №6 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 მარტის №04/4056 და 07 ივნისის №04/6673 წერილების (AR1476808) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №393 განკარგულებით დამტკიცებული ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის III ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში და საპროექტო არეალში დაფიქსირდეს შემდეგი საკადასტრო ერთეულები: №01.14.15.002.078; №01.14.15.002.076; №01.14.15.002.008; №01.14.15.002.066; №01.14.15.002.083; №01.14.15.002.050; №01.14.15.002.034; №01.14.15.002.036 . გრგ-ს საპროექტო ტერიტორიის (სავარაუდო) ჯამურ ფართობად 5621 კვ.მ.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი